ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №34

11.12.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
3. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
4. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
5. ნინო წულაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

მომხსენებელი:

- **ვიქტორ წილოსანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა, წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

ვ.წილოსანმა სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წარადგინა.

მან, თბილისის მუნიციპალიტეტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო და ურბანული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, ასევე, შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის წარმოების თაობაზე ისაუბრა.

სხდომაზე განხილული იყო სატრანსპორტო რეფორმის მნიშვნელობა, სამსახურის ხელმძღვანელმა კომისიის წევრებს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

მისივე ინფორმაციით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების მიზნით დედაქალაქში 160 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსი იმოძრავებს, რაც მეტი მგზავრის გადაყვანის საშუალებას იძლევა.

ვ. წილოსანმა თბილისის მეტროს ვაგონების განახლებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 475 მლნ ევროს ექვივალენტი თანხა გამოიყოფა, რითაც მოხდება 212 ერთეული თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეტროს ვაგონის შესყიდვა. ახალი ვაგონების შესყიდვა გადაჭრის არა მარტო ექსპლუატაციიდან გამოსული მატარებლების პრობლემას, არამედ, გაზრდილი მგზავრთნაკადის საკითხსაც.

მანვე აღნიშნა, რომ ბოლო წლებში, თბილისის მეტროში განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები, კერძოდ, მთლიანად შეიცვალა დაახლოებით 450 კილომეტრი სიგრძის ძალოვანი კაბელები, რაც უსაფრთხოებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ასევე, მთლიანად განახლდა გამნიავებელი სისტემები, გვირაბებში დამონტაჟდა ახალი აგრეგატები და ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მომხსენებელმა კომისიის წევრების წინადადებები მოისმინა და მათ კითხვებს დეტალურად უპასუხა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე